საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 256

2025 წლის 31 იანვარი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2025 წლის 30 იანვრის N-MES 4 25 0000080473 კორესპონდენციის გათვალისწინებით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 90-ე მუხლისა და ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ'' აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. აჭარის სახალხო .არტისტის - მურმან ქამადაძის დაკრძალვის ხარჯების დასაფარავად, ოჯახის მატერიალური დახმარების მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან გამოეყოს 5 000 (ხუთი ათასი) ლარი და მატერიალური დახმარების სახით გადაეცეს გარდაცვლილის ოჯახს.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ (ჯ. ფუტკარაძე) მოახდინოს შესაბამისი მიზნობრივი დაფინანსება.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ (მ. ხაჯიშვილი) უზრუნველყოს ბრძანებით გამოყოფილი თანხის მიზნობრივი განკარგვა.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

თორნიკე რიქვაძე

1200-02-2-202502061548
https://edocument.ge/AdjaraGov/public